



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბიზნესის მართვის დეპარტამენტი

ს ა დ ო ქ ტ ო რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

ბიზნესის ადმინისტრირება

მიმართულება: ბიზნესის ადმინისტრირება

ქუთაისი

2011

პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება / Business Administration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი):

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი / Doctor of Business Administration

პროგრამის ხელმძღვანელი:

გიორგი ღავთაძე (ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

180 კრედიტი. მათ შორის: 60 კრედიტი სასწავლო და 120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი.

სწავლების ენა:

ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიზანია:

სწავლების წინა დონეების შედეგების შემდგომი გაღრმავებითა და სრულყოფით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის ჩამოყალიბება, რომელსაც იმავდროულად გააჩნია უმაღლესი დონის (ინსტიტუციონალური) მენეჯერის შესაბამისი კვალიფიკაცია და შესწევს უნარი ეწეოდეს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

აღნიშნული მიიღწევა დოქტორანტებისათვის ერთის მხრივ, სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის აუცილებელი და მეორეს მხრივ, ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეულ ფუნქციონალურ სფეროში მიმდინარე პროცესების ანალიზის, ტენდენციების გამოვლენის, პროგნოზირების, ინოვაციული იდეების გენერაცია-რეალიზაციის შესაძლებლობების განვითარებისათვის საჭირო ცოდნის მიწოდებით, პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებითა და შესაბამისი ღირებულებების ფორმირებით.

ძირითადი მიზნის მიღწევისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- პედაგოგიური მუშაობის თეორიული ასპექტების ცოდნის გაღრმავება და სპეციალურ დისციპლინათა სწავლების პრაქტიკული გამოცდილების დაგროვება;
- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების და ხერხების დაუფლება, ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავება და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში (როგორც მაკრო, მიკრო და საერთაშორისო დონეებზე) დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების განხორციელების შესაძლებლობების გაღრმავება;
- სამეცნიერო-ანალიტიკური უნარ-ჩვევებისა და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაზე, სხვადასხვა სამეცნიერო-საინფორმაციო წყაროებზე მუშაობის უნარების განვითარება;
- წამყვან სამეცნიერო გამოცემებთან მეცნიერული კონტაქტების დამყარების (მათ შორის საზღვარგარეთ) და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, დისკუსიებში, დებატებში და ა.შ. მონაწილეობის უნარის განვითარება;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კონკრეტული მენეჯერული თუ საფინანსო-ეკონომიკური პრობლემების დაძლევის, ანალიზური საქმიანობის განხორციელების და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობების განვითარება;
- კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება;
- პრეზენტაციის ხელოვნების შემდგომი დახვეწა და სრულყოფა;

კვლევის სავარაუდო მიმართულებები (თემატიკა):

- ფინანსური, ფულად-საკრედიტო სისტემების მდგრადობა, დინამური განვითარება; საქართველოს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკების ფორმირების პირობები და რეალიზაციის შესაძლებლობები;
- საერთაშორისო დონეზე ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა თანამედროვე სპეციფიკა, განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები; კრიზისშემდგომი საფინანსო და ფულად-საკრედიტო რეფორმები მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში;
- ფინანსური ბაზრის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები; მზარდი ბაზრების როლი განვითარებადი ქვეყნების ფინანსური პრობლემების დაძლევაში;
- სადაზღვევო ურთიერთობათა სრულყოფა თანამედროვე ეტაპზე; სადაზღვევო ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში;
- ბიზნესის განვითარების რეგიონული თავისებურებების კვლევა და ფინანსური პრობლემების დაძლევის შესაძლებლობების ანალიზი; სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგის გაანგარიშებისა და ანალიზის სრულყოფის მეთოდოლოგიური საკითხები;
- კორპორაციათა ფინანსური მეურნეობის გაჯანსაღება და ფინანსური მენეჯმენტის დონის ამაღლება;
- ეფექტიანობის აუდიტი და მისი როლი ფინანსური კონტროლის განხორციელებაში; ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგების სრულყოფის საკითხები განვითარების თანამედროვე ეტაპზე;

სწავლის შედეგები:

სადოქტორო პროგრამის განხორციელების პროცესში, მიიღწევა სწავლის შედეგები. კერძოდ:

- **ცოდნა და გაცნობიერება.** აქვს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე პროცესების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას იძლევა; სრულყოფილად ფლობს დარგთან ასოცირებულ სწავლებისა და მეცნიერული კვლევის თანამედროვე სპეციფიკურ მეთოდებს; არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოვლენათა ხელახალი გააზრება-შეფასების საფუძველზე და გარემოზე დაკვირვების შედეგად იფართოებს საკუთარი ცოდნის არეალს და მიუსადაგებს მას ახალ გამოწვევებსა და ტენდენციებს;
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.** დამოუკიდებლად გეგმავს, ახორციელებს, ავითარებს და ზედამხედველობას უწევს ინოვაციურ კვლევებს; შეიმუშავებს ახლებურ კვლევით და ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება შესაბამის პუბლიკაციებში; აქვს თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენების უნარი პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად; შესწევს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ექსპერიმენტირების და მიღწეული შედეგების ნათლად ილუსტრირების უნარი.
- **დასკვნის უნარი.** კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს, რითაც ხელს უწყობს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას; დამოუკიდებლად იღებს სწორ, ეფექტურ, არგუმენტირებულ გადაწყვეტილებებს, რაც საჭიროა პრობლემის გადაჭრისათვის, მისი თავისებურების გათვალისწინებით.
- **კომუნიკაციის უნარი.** ეფექტურად იღებს და გადაცემს ინფორმაციას კოლეგებს, მათ შორის უცხო ენაზე; კამათობს აქტუალურ პრობლემებზე, ლოგიკურად აყალიბებს, ასაბუთებს და არგუმენტირებულად იცავს საკუთარ პოზიციას; შეუძლია საკუთარი მიღწევების

პრეზენტაცია ფართო საზოგადოებისათვის, ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით.

- **სწავლის უნარი.** შეუძლია სხვების სწავლის პროცესის დაგეგმვა და მართვა; კრეატიულად უდგება სწავლის და კვლევის პროცესებს და ახორციელებს მასში თანამედროვე ნოვატორული მიდგომების ინტეგრირებას.
- **ღირებულებები.** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს:
 - როგორც პროფესიონალს: გათავისებულ აქვს პროფესიული ეთიკის ნორმები (პიროვნული თავისუფლების აღქმა, პიროვნების ღირსების პატივისცემა, საკუთრების ხელშეუხებლობა და ა.შ.) და კოლეგებთან თუ პარტნიორებთან ურთიერთობის დროს იყენებს ე.წ. “Fair Play”-ის პრინციპებს; მას შეუძლია იყოს გუნდის სრულფასოვანი წევრი და იმავდროულად მოგვევლინოს ლიდერის როლში;
 - როგორც მეცნიერ-მკვლევარს და პედაგოგს, გაცნობიერებული აქვს განათლების მნიშვნელობა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში და ნათლად ხედავს საკუთარ როლს აღნიშნულ პროცესში; აღიარებს სამეცნიერო საზოგადოების ყველა ფუნდამენტურ პრინციპს, პატივს სცემს სხვათა კვლევის შედეგებს და უნარი შესწევს დაიცვას საკუთარი; მისთვის კატეგორიულად მიუღებელია „პლაგიატი“ და ადექვატურად აღიქვამს მის მავნე შედეგებს.

კომპეტენციათა განაწილება სასწავლო გეგმის კომპონენტების მიხედვით

საგანი	1. ცენტრირება	2. ცოდნისა და უნარების უნარი	3. დასაძინის უნარი	4. ტრენინგის უნარი	5. სწავლის უნარი	6. ტრენინგის უნარი
საუნივერსიტეტო კურსები						
სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	X	X		X	X	X
ეკონომიკის მცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები	X	X	X		X	X
პედაგოგიური პრაქტიკა (პროფესორის ასისტენტობა)	X	X	X	X	X	X
ზოგადეკონომიკური კურსები						
ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება	X	X	X		X	X
ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები	X	X	X		X	
პოსტრიზისული რეფორმები მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში	X	X	X		X	X
რეგიონული ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
სპეციალიზაციის მოდულებში შემავალი კურსები						
თანამედროვე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა	X	X	X	X	X	X
აუდიტის სტანდარტები	X	X	X	X	X	X
სემინარები	X	X	X	X	X	X
დისერტაციასთან დაკავშირებული კვლევის შედეგების გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა	X	X	X	X	X	X
დოქტორანტის კოლოქვიუმი	X	X	X	X	X	X
სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა	X	X	X	X	X	X

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მიღწევის დროს გამოიყენება ინტერაქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდები და ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმით. კერძოდ:

სასწავლო კურსების შესწავლა ხორციელდება როგორც თეორიულ მეცადინეობებზე, ისე ჯგუფური მუშაობის დროს და დოქტორანტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით (რეკომენდებული ძირითადი სახელმძღვანელოების, დამატებითი ლიტერატურის დამუშავების, აგრეთვე ინტერნეტ-რესურსების გამოყენების საფუძველზე). სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თეორიულ-მიმოხილვითი ლექციების, დისკუსიების ჩატარებას, სასემინარო მოხსენების მომზადება-პრეზენტაციას, პრაქტიკული სავარჯიშოებისა თუ მიზნობრივი წერითი დავალებების შესრულებას და ა.შ.

თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა - სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად თემათა ისტორიულ-თეორიულ ჭრილში განხილვა და დოქტორანტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია დარგის თეორიული კვლევისა და და აღნიშნულ სფეროში დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე. ლექციები იკითხება პრობლემურ ასპექტში, ე.ი. ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე და მათ ანალიზზე.

ჯგუფური მუშაობების დანიშნულებაა - დოქტორანტების მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განმტკიცება. შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასწავლო თემატიკით გათვალისწინებული სხვადასხვა პრაქტიკული თუ პრობლემატური სიტუაციების ანალიზი. დისკუსიების დანიშნულებაა თეორიულ ლექციებზე შეძენილი ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა განმტკიცება, ლოგიკური აზროვნებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევათა გამომუშავება, რაც დოქტორანტებს მნიშვნელოვნად გაუადვილებს საკუთარი ხედვის გამოკვეთასა და რიგი საკითხებისადმი პროფესიული მიდგომის შემუშავებას;

სემინარული მეცადინეობა ითვალისწინებს პრობლემურ სემინარზე განსახილველი საკითხის საფუძვლიანად დამუშავებასა და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში შეირჩევა სხვადასხვა აქტუალური საკითხები, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციებზე გაშუქებული კონცეფციებისა და დებულებების სათანადოდ გააზრებას, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზისა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოკვეთას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად აღიქვამს დოქტორანტი შერჩეულ პრობლემატიკას ან/და დამოუკიდებლად მომზადებულ მასალას.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები და დოქტორანტები.

დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სხვა პირობები დგინდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

სადოქტორო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტზე სემინარი შეიძლება დაიგეგმოს ერთობლივად, სხვადასხვა სადოქტორო პროგრამების გაერთიანების შედეგადაც.

კოლოკვიუმების ჩატარების დროს ხდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულების მიმდინარეობის პერიოდული შეფასება და მონიტორინგი. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელს (სადისერტაციო თემის ხელმძღვანელს) წარუდგენს კოლოკვიუმზე გამოსატანი ნაშრომის ბეჭდურ და ელექტრონულ ვერსიებს.

შესაძლებელია ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეგზავნოს შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კვალიფიკაციის მქონე პირს/პირებს ან დარგის აღიარებულ სპეციალისტებს. შეფასებას ახორციელებს სამეცნიერო ხელმძღვანელი.

პედაგოგიური პრაქტიკა. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკის (პროფესორის ასისტენტობა) გავლა სამეცნიერო ხელმძღვანელის და პედაგოგიკის ფაკულტეტის წარმომადგენლის და/ან დარგის აღიარებული სპეციალისტის უშუალო მონაწილეობით. აღნიშნულის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დოქტორანტის, როგორც მომავალი პედაგოგის ჩამოყალიბებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს წარმატებით შეეძლება დასაქმება როგორც საჯარო მართვის, ისე ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში უმაღლესი დონის თანამდებობებზე, სადაც გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია ანალიზი, პროგნოზირება და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება. კურსდამთავრებულის დასაქმების პოტენციურ ობიექტებად ასევე შეიძლება მოვიხაზოთ: საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციები, შესაბამისი საკონსულტაციო ცენტრები, სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტები, სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები და ა.შ.

სახელმწიფო სექტორიდან ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სავარაუდო სტრუქტურებად შეიძლება მოაზრებულ იქნას შემდეგი:

- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- საქართველოს პარლამენტის აპარატი;
- საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველობითი ორგანოები და ა.შ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მისი რეგიონული რგოლები;
- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მისი უწყებრივი რგოლები;
- საქართველოს კონტროლის პალატა და მისი რეგიონული რგოლები და ა.შ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნებია:

1. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში ან ეკონომიკაში;
2. საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;
3. ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის ცოდნა B2 დონეზე (გამოცდის ჩაბარება აწლუ-ში ან სათანადო სერთიფიკატის წარმოდგენა).

ამასთან, კონკრეტული პირობები განსაზღვრულია აწლუ აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ (იხ. <http://www.atu.edu.ge/geo/gancxadebebi/doctorantura.pdf>)

პროგრამის გავლის წესები განსაზღვრულია აწლუ ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს“ დებულებით . (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 14, 27.12.2007)

პროგრამის სტრუქტურის აღწერა:

ბიზნესის ადმინისტრირებაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 კრედიტი. პროგრამა აერთიანებს სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტებს, რომლებიც თავის მხრივ, კიდევ იყოფა ცალკეულ ელემენტებად.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს: საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნებს; ზოგადეკონომიკურ არჩევით დისციპლინებს; სპეციალიზაციის არჩევით კონცენტრაციებს; სემინარებს.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს: დისერტაციასთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებასა და კონფერენციებში მონაწილეობას; დოქტორანტის I კოლოკვიუმს; დოქტორანტის II კოლოკვიუმს; სადოქტორო ნაშრომის წინასწარ განხილვას; სადოქტორო ნაშრომის შესრულებას და დაცვას, რომელიც თავის მხრივ, აერთიანებს დისერტაციის ექსპერტიზას, რეცენზირებას და დაცვას;

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

№	დასახელება	სტა-ტუსი	კრედიტები სემესტრებში					
			I	II	III	IV	V	VI
I. სასწავლო კომპონენტი								
I.1	საუნივერსიტეტო კურსები		10	5	0	0	0	0
I.1.1	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალ.	5					
I.1.2	ეკონომიკის მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდები		5					
I.1.3	პედაგოგიური პრაქტიკა (პროფესორის ასისტენტობა)			5				
I.2	ზოგადეკონომიკური კურსები *		12	0	0	0	0	0
I.2.1	ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება	არჩევ.	6					
I.2.2	ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და მოდელები		6					
I.2.4	რეგიონული ეკონომიკა და ეკონომიკური პოლიტიკა		6					
I.3	სპეციალიზაციის კონცენტრაციები		6	12	0	0	0	0
I.3.1	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი		6	12	0	0	0	0
I.3.1.1	თანამედროვე ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა	სავალ.	6					
I.3.1.2	არჩევითი საგანი 1	არჩევ**		6				
I.3.1.3	არჩევითი საგანი 2	არჩევ.		6				
I.3.2	საბუღალტრო აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი		6	12	0	0	0	0
I.3.2.1	აუდიტის სტანდარტები	სავალ.	6					
I.3.2.2	არჩევითი საგანი 1	არჩევ.		6				
I.3.2.3	არჩევითი საგანი 2	არჩევ.		6				
I.4	სემინარ(ებ)ი ***			5	5	5		
	სულ სასწავლო კომპონენტი		60	28	22	5	5	0
II. კვლევითი კომპონენტი								
II.1	დისერტაციასთან დაკავშირებული კვლევის შედეგების გამოქვეყნება და კონფერენციებში მონაწილეობა				5	5	10	
II.2	დოქტორანტის კოლოკვიუმი				20	20		
II.3	სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა		2	8			20	30
	სულ კვლევითი კომპონენტი		120	0	10	25	25	30
	სულ სასწავლო გეგმით		180	30	30	30	30	30

* - ზოგადეკონომიკური კურსებიდან დოქტორანტი ირჩევს ორს, საკუთარი სურვილით.

** - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სპეციალიზაციის კონცენტრაციების არჩევითი საგნების დაზუსტება მოხდება სადისერტაციო თემის არჩევის შემდეგ. სავარაუდო არჩევით საგნებად შეიძლება მოვიზაროთ: „პოსტკრიზისული რეფორმები მსოფლიოს ქვეყნებსა და რეგიონებში“, „ეკონომიკური და ფინანსური რისკების მართვა“, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ ან სხვ.

*** - სემინარების თემატიკის დაზუსტება მოხდება ყოველსემესტრულად, ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასების სისტემის ზოგადი მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს დოქტორანტის მიერ სადოქტორო პროგრამის ცალკეული კომპონენტის შესრულება, მიღწეული შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით.

შეფასების ძირითადი პრინციპებია:

- **გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპი** - შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და წინასწარი ინფორმირებულობა;
- **სამართლიანობისა და საყოველთაობის პრინციპი** - გამოვლენილი ცოდნის შეფასების დროს, ყველა დოქტორანტის მიმართ ერთიანი, წინასწარ განსაზღვრული პრინციპებით მიდგომა;

დოქტორანტის აკადემიური მოსწრების შეფასება ცალკეულ დისციპლინებში ხორციელდება არსებული კანონმდებლობის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) და №785 (21.09.2009) ბრძანებები) და შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციის (აკად.საბჭოს დადგენილება № 12 (09/10).

შეფასება შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა აქტივობების მიხედვით, როგორებიცაა: აუდიტორული მუშაობა, შუალედური გამოცდები, ფინალური გამოცდა, მიზნობრივი წერითი ნაშრომის შესრულება, ინდივიდუალური დავალება და სხვა. შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება ცალკეულ დისციპლინათა სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგნების სილაბუსებში თუ სხვადასხვა აქტივობების აღწერილობით დოკუმენტებში (მაგ.: სემინარის სილაბუსი, სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის აღწერა).

პედაგოგიური პრაქტიკის შეფასება ხდება აკადემიური საბჭოს 2011 წლის 28 აპრილის #76 (10/11) დადგენილებით განსაზღვრული პედაგოგიური პრაქტიკის უწყისის ფორმის მიხედვით.

სემინარების და კოლოქვიუმების შეფასების დროს დგება შესაბამისი ოქმი, რომელშიც მიეთითება დოქტორანტის მიერ მიღწეული წარმატებები. შეფასების დროს ყურადღება მახვილდება წარმოდგენილი მოხსენების შესრულების დონეზე, ნაშრომის პრეზენტაციისა და დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხების ხარისხზე და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება აწუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის #17 (09/10) დადგენილებით „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის დადგენილებაში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შესახებ.“

სხვა სასწავლო თუ კვლევითი აქტივობ(ებ)ის (მაგ. სტატიის) მიხედვით კრედიტის ათვისება დასტურდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ერთობლივი დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი კომპონენტის კრედიტის აღიარება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილებით.

შეფასების სისტემა

ქულები	შეფასება	შეფასება (ECTS)
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D

51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა, გამოცდის გადაბარების უფლებით	FX
41-ზე ნაკლები	ჩაიჭრა, თავიდან უნდა გაიაროს საგანი	F

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა:

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოიცავს:

- აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკას;
- ქუთაისის სამეცნიერო უნივერსალურ ბიბლიოთეკას;
- ქუთაისის სახელმწიფო არქივს;
- ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ბიბლიოთეკას;
- ეკონომიკისა და ტურიზმის დეპარტამენტის ბიბლიოთეკას;
- პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების პირად ბიბლიოთეკას;
- აწსუ კომპიუტერულ ლაბორატორიებს;
- ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტთან არსებულ სასწავლო-პრაქტიკულ ლაბორატორიას;

ეს უკანასკნელი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, რაც დოქტორანტებს მისცემს საშუალებას ისარგებლონ ინტერნეტ-რესურსებით, დაამუშაონ სტატიები და სამეცნიერო ნაშრომები, მოახდინონ საკუთარი სადოქტორო ნაშრომების კომპიუტერული დამუშავება, მოამზადონ და მოაწიონ პრეზენტაციები და ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, აწსუ აღჭურვილია საკმარისი სასწავლო კაბინეტებით, საკონფერენციო და სხდომათა დარბაზებით, თანამედროვე კომპიუტერებით, საინფორმაციო საშუალებებზე ხელმისაწვდომობით, რაც განაპირობებს დოქტორანტთა სასწავლო და სამეცნიერო პროცესების სათანადო დონეზე წარმართვას.

დოქტორანტების მისაღები შესაძლო ოდენობა:

„ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების“ დეპარტამენტის აკადემიური და მატერიალური პოტენციალის გათვალისწინებით 2012-2013 სასწავლო წლისათვის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტების მისაღები ოდენობა შეიძლება განისაზღვროს 3-ით.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ძირითადი აკადემიური პერსონალი

1. **ღავთაძე გიორგი** - ეკონომიკის დოქტორი, აწსუ სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი);
2. **სოლოღაშვილი დალი** - ეკონომიკის დოქტორი, აწსუ სრული პროფესორი;
3. **შონია ნანა** - ეკონომიკის დოქტორი, აწსუ ასოცირებული პროფესორი;
4. **ბაკურაძე აკაკი** - ეკონომიკის დოქტორი, აწსუ ასოცირებული პროფესორი;
5. **ნამიჭიეშვილი რამაზ** - ეკონომიკის დოქტორი, აწსუ ასოცირებული პროფესორი;
6. **ბასილაძე იმერი** - პედაგოგიკის დოქტორი, აწსუ ასოცირებული პროფესორი;
7. **სურგულაძე თეიმურაზ** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აწსუ სრული პროფესორი;
8. **ჩიხლაძე ნიკო** - ეკონომიკის დოქტორი, ქუ სრული პროფესორი (მოწვეული სპეციალისტი);